ვალერიან დოლიძე [1]

ლიდერის ფაქტორი და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში გააღრმავა დემოკრატიზაცია და განამტკიცა მისი ინსტიტუციური მექანიზმები. მან გამოავლინა პოლიტიკური პროცესის ახალი თავისებურებანი: ქარიზმატული ლიდერის მნიშვნელობის შესუსტება, პოლიტიკური პარტიების როლის გაძლიერება და ელექტორატის რაციონალური ქცევის ზრდა. ეს აჩვენებს, რომ საქართველოში იწყება ჩვეულებრივი პოლიტიკა და არჩევნები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, არჩევნები, დემოკრატიზაცია

დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული არჩევნების ფონზე, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. მან თვისებრივად განვითარების ახალ სტადიაზე აიყვანა არა მხოლოდ საარჩევნო პრაქტიკა საქართველოში, არამედ მთელი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაც, გამოკვეთა და გააძლიერა პოლიტიკური პროცესის ახალი ნიშან-თვისებები. მან გვიჩვენა, რომ ინდივიდუალური მექანიზმების დასუსტების ხარჯზე, რომლებიც ლიდერთა პერსონალურ პოლიტიკურ აქტიურობას ეფუძნებიან, ვითარდება პოლიტიკური პროცესის ფუნქციონირების კოლექტიური მექანიზმები. მანამდე ჩატარებული ყველა არჩევნები ძლიერი "ქარიზმატული" ლიდერის ჩრდილქვეშ მიმდინარეობდა, რომელიც აქტიურად საქმიანობდა პოლიტიკურ სცენაზე,

---

[1] Ph.D, თსუ, პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უშუალოდ მონაწილეობდა პოლიტიკურ ბატალიებში და ამომრჩეველთა ქცევის სტიმულებისა და მოტივების ფორმირების ძლიერ პერსონიფიცირებულ წყაროს წარმოადგენდა.

2016 წლის არჩევნებმა დაგვანახა, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა ფუნქციონირების ახალ სტადიაზე გადადის. კერძოდ, ძლიერდება და მტკიცდება პოლიტიკური პროცესის დეპერსონალიზაცია, რამაც განვითარება დაიწყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ეს ახალი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ერთი მხრივ ბიძინა ივანიშვილის ნებაყოფლობით წასვლას პრემიერის პოსტიდან და მის სამოქალაქო სექტორში გადასვლას, ხოლო მეორე მხრივ კი სააკაშვილის წასვლას საქართველოდან. ყოველივე ამის შედეგად, 2016 წლის არჩევნებში ბრძოლა მიმდინარეობდა არა იმდენად პოლიტიკურ ლიდერებს, რამდენადაც პოლიტიკურ პარტიებს შორის. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი თავისებურება, რომლითაც ეს არჩევნები განსხვავდება საქართველოში ჩატარებული სხვა არჩევნებისაგან:

1. "ქარიზმატული" ლიდერის როლის შესუსტება. აქ ჩვენ "ქარიზმას" ვიყენებთ ლიდერის ისეთი პირადი განსაკუთრებული თვისებების აღსანიშნავად, რომლებსაც ელექტორატი მიიჩნევს აუცილებლად საზოგადოებისა და სახელმწიფის გადარჩენისათვის. ასეთი "ქარიზმა" შეიძლება ეფუძნებოდეს ელექტორატის, როგორც ირაციონალურ, ასევე სავსებით რაციონალურ არჩევანსაც;

2. ე. წ. ნაცნობი სახეების მნიშვნელობის დასუსტება პოლიტიკაში, რომელთა ცნობადობას წარმოშობდა ინდივიდუალური პოლიტიკური აქტიურობა და რომლებსაც

ელექტორატი აღიქვამდა პერსონალურად, საკუთარ პარტიებთან კავშირის გარეშე;

3. პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობის გაძლიერება, რაც ვლინდება მათი პოლიტიკური ლიდერის ჩრდილიდან გამოსვლისა და პოლიტიკური პროცესის ცენტრში გადაადგილების პროცესის დაწყებაში.

4. ელექტორატის ქცევაში რაციონალური მომენტების აშკარად გამოკვეთა.

5. ეს იყო პირველი არჩევნები, რომელიც ჩატარდა შედარებით მშვიდ გარემოში, განსხვავებით ყველა სხვა არჩევნებისაგან, რომლებიც საზოგადოებისა და ხელისუფლების უმწვავესი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, რაც ნოყიერ ნიადაგს წარმოშობდა "ქარიზმატული" ლიდერების გამოჩენისათვის.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები შეიძლება იქცეს პოლიტიკისა და არჩევნების რუტინიზაციის დასაწყისად.

1.ქარიზმატული ლიდერი და პერსონალიზებული პოლიტიკური პროცესი

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აბრკოლებდა დემოკრატიზაციას საქართველოში იყო "ქარიზმატული" ლიდერის ფენომენი. ასეთი ლიდერი იდგა პოლიტიკური პროცესის ცენტრში და იმორჩილებდა სახელმწიფი ინსტიტუტებს, რომლებსაც საკუთარი ხელისუფლების გასაძლიერებლად იყენებდა. მასსა და მის მომხრეებს შორის მყარდებოდა უშუალო გრძნობად-ემოციური პერსონალური კავშირი, რაც ეფუძნებოდა ლიდერისადმი პირად ერთგულებას და არა გარკვეულ პოლიტიკურ პრინციპებს, რომლითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გაშუალებული მათი მხარდაჭერა ლიდერისადმი. ასეთი ერთგულების მასაზრდოებელი შე-

იძლებოდა ყოფილიყო არა მხოლოდ ირაციონალური გრძნობები, არამედ გაზრდილი მოლოდინიც, რომლის წყაროსაც ლიდერის მიერ გამოვლენილი თვისებების რაციონალური შეფასება წარმოადგენდა.

საქართველოში ეროვნული ლიდერისადმი ერთგულებას წარმოშობდა არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკურ კურსი, არამედ ლიდერის პიროვნება, რომლისადმი დამოკიდებულებაც იყო როგორც ემოციური ხასიათის, ასევე რაციონალური არჩევანის შედეგი. მათი "პროგრამები" რიტუალურ ხასიათს ატარებდა, პოლიტიკა კი პრაქტიკაზე ემპირიული რეაგირების შედეგად ყალიბდებოდა. ლიდერი წარმოადგენდა მთავარ პოლიტიკურ აქტორს. ხელისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ლიდერებს შორის და არა პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებიც მეორეხარისხოვან როლს ასულებდნენ პოლიტიკურ პროცესში, წარმოადგენდნენ რა ლიდერების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მექანიზმს. პოლიტიკური პროცესი იყო პერსონალიზებული, როცა ამომრჩეველი ხმას აძლევდა არა პოლიტიკურ პროგრამებს ან პარტიებს, არამედ ლიდერების პირად თვისებებს.

პოლიტიკურ სცენაზე ერთმანეთს ებრძოდნენ სხვადასხვა ყალიბის ლიდერები. აქ ვხედავთ, როგორც ქარიზმატულს, ასევე უფრო მცირე ყალიბის ლიდერებსაც, რომლებიც პატარა, სუსტად ორგანიზებული, ამორფული პოლიტიკური ჯგუფების ("პარტიების") წინამძღოლებად გვევლინებოდნენ. ლიდერი ქმნიდა პარტიას და არა პირიქით. პარტია პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური ლიდერის სტატუსში აყვანის საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომ ესა თუ ის ცნობადი სახე, რომელსაც პოლიტიკურ სარბიელზე გარკვეული პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდა

დაგროვებული, თავის ირგვლივ იკრებდა ადამიანთა ჯგუფს - "პარტიას", რაც მას ლიდერად აქცევდა. ასეთი "ლიდერები," როგორც წესი, პოლიტიკური სცენის მუდმივ ბინადრებს წარმოადგენდნენ. მათი პარტიის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიუხედავად ისინი ყოველთვის ინარჩუნებდნენ ამ პოსტს.

მოკლედ, ლიდერები ქმნიდნენ პარტიებს და არა პარტიები - ლიდერებს. 2012 და 2016 წლის არჩევნებს შორის პერიოდში, განსაკუთრებით კი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ეს პრაქტიკაც იწყებს შეცვლას - ზოგიერთ პარტიაში იწყებს განვითარებას ბრძოლა ლიდერის პოსტის მოსაპოვებლად, ჩნდება შიდაპარტიული დისკუსიის ჩანასახები, ცდილობენ გამოვიდნენ ლიდერის ჩრდილიდან, გააძლიერონ ყრილობის მნიშვნელობა შიდაპარტიულ ცხოვრებაში. (მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა). დღესდღეობით ძნელია იმის განსაზღვრა თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება ეს პროცესი.

2. პერსონალიზებული პოლიტიკური პროცესის საბჭოთა ფესვები

პერსონალიზებული პოლიტიკური პროცესი საქართველოში განვითარდა სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის პირობებში, რასაც თავისი ფესვები საბჭოთა საქართველოს არსებობის უკანასკნელ წლებში აქვს გადგმული. ამ დროს მოიშალა სახელმწიფო დისციპლინა, გაქრა საზოგადოებრივი ქცევის ფორმირების ინსტიტუციური შეზღუდვები, სახელმწიფო თითქმის მთლიანად შთანთქა საზოგადოებამ, რომელიც თავს აღწევდა მისგან დაწესებულ წესებს და სახელმწიფო სტრუქტურების პარალიზებას ახდენდა. ინსტიტუციური კონტროლის დასუსტების

პირობებში, წინა პლანზე წამოიწია პიროვნულმა ფაქტორმა, რომელიც პოლიტიკური მობილიზაციის ცენტრად გადაიქცა და პოლიტიკური ინსტიტუტების ადგილი დაიკავა. სწორედ ამიტომ მმართველი კომუნისტური პარტიის გავლენის უკიდურესად დასუსტების პირობებში, ამომრჩეველთა ერთი ნაწილი მზად იყო საკუთარი ხმები მიეცა არა კომპარტიისათვის, არამედ პარტიული მუშაკებისათვის: 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ, მაშინ როცა მუშათა მხოლოდ 8,65% მიიჩნევდა კომპარტიას ძალად, რომელიც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას შეძლებდა, მათი 28,85% ხმის მიცემას სწორედ პარტიული და საბჭოთა მუშაკებისათვის აპირებდა. (1,146).

პოლიტიკური პროცესის ასეთი პერსონალიზაცია შეიძლება საბჭოთა წარსულში ჩასახული და გარეგნულად საბჭოთა ინსიტიტუტებით კარგად დაფარული პრაქტიკის შედეგსაც წარმოადგენდეს. თავისი არსებობის ბოლო წლებში საბჭოთა სისტემა სუსტი ინსტიტუციური წესრიგის პირობებში ფუნქციონირებდა. ეს აძლიერებდა პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობას, რადგანაც სწორედ ხელმძღვანელის ინდივიდუალურ კავშირებსა და მის პიროვნულ თვისებებზე ბევრად იყო დამოკიდებული წარმოებადაწესებულებების წარმატება.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართოდ გავრცელების პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა კლიენტელიზმი, რაც საფუძვლად ედო პირად ერთგულებაზე დამყარებული არაფორმალური იერარქიული სტრუქტურების შექმნას. ეს თავის მხრივ ძირს უთხრიდა არსებულ ინსტიტუციურ წესრიგს, ასუსტებდა ოფიციალურ ინსტიტუტებს და იმავდროულად ინიღბებოდა მათი არსებობით.

ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა სპეციფიკური პოლიტიკური კულტურა (პოლიტიკური კონტრკულტურა), რომელსაც ახასიათებდა უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ორიენტაცია პერსონალურ კავშირებზე, მიზნის მიღწევა საზოგადოების მიერ აღიარებული წესებისადმი გვერდის ავლით. ასეთ საზოგადოებაში, სადაც ხშირად მოქალაქის კანონიერი უფლებების დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო არა ინსტიტუტებზე, არამედ კონკრეტული თანამდებობის პირების კეთილგანწყობაზე, არ არის გასაკვირი, რომ წარმოშობილიყო ხელსაყრელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო "ქარიზმატული" ლიდერის გაჩენისათვის, რომელიც ელექტორატს ქვეყნისა და ხალხის მხსნელად მოევლინებოდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ამომრჩევლის იდეოლოგიური ტიპი, რომელიც საბჭოთა სინამდვილის კონკრეტულ გარემოში წარმოიშვა. საბჭოთა საზოგადოება იყო იდეოლოგიური და არა ეკონომიკური საზოგადოება, რაც განაპირობებდა პირველი დემოკრატიული არჩევნების ელექტორალური ქცევაში ირაციონალური მოტივებისა და სტიმულების დომინანტობას. სწორედ ამან წარმოშვა გამსახურდიას ქარიზმა.

3. ელექტორალური ქცევები: ირაციონალურიდან რაციონალურისაკენ

თანამედროვე საქართველოში მიმდინარეობს იდეოლოგიზებული ადამიანის ეკონომიკური ადამიანით შეცვლის პროცესი, რასაც საფუძვლად იდეოლოგიური საზოგადოების ეკონომიკურ საზოგადოებად ტრანსფორმაცია უდევს. ეს იწვევს რაციონალური საწყისების გაძლიერებას ელექტორატის ქცევაში, რის გამოც ამომრჩეველი საკუთარ არჩევანში უფრო მომთხოვნი და დაკვირვებული ხდება.

თუ პოსტკომუნისტური საქართველოს ისტორიის გარიჟ-რაჟზე მისი მოტივაცია ყალიბდებოდა კოლექტიური - ერ-ოვნული იდენტობის საფუძველზე, კერძო სექტორისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების, ახალი სტრატიფიკა-ციური სისტემის ფორმირებისა და საზოგადოების მატერი-ალური მდგომარეობის გაუარესების შედეგად, ძლიერდება ქცევის მატერიალური მოტივაცია, რაც უფრო მეტად არის დაკავშირებული პირად ინტერესებთან, ვიდრე კოლექტი-ურთან. სწორედ ამის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ამ-ომრჩეველთა პრიოროტეტებში ტერიტორიული მთლიან-ობის აღდგენის გადასვლა მესამე პოზიციაზე და მისი ჩა-ნაცვლება ისეთი მატერიალურ ინტერესებით, როგორიც არის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სიღატაკის აღმოფ-ხვრა და ა.შ.

ასეთ ცვლილებებს შეიძლება დავაკვირდეთ აგრეთვე საქართველოს ეროვნული ლიდერების “ქარიზმის” ფორმი-რების წყაროების მაგალითზეც. მათში სხვადასხვაგვარად იყო წარმოდგენილი ირაციონალური და რაციონალური ელემენტების პროპორციები. რაციონალური არჩევანის მნიშვნელობა ყველაზე სუსტი იყო გამსახურდიას შემთხვე-ვაში, რომლის მომხრეებიც მასთან გრძნობად-ემოციური პერსონალური კავშირის საფუძველზე (ლიდერის სიყვა-რული) წარმოშობდნენ თავისებურ ფსიქოლოგიურ ერთო-ბას, რომელშიც ლიდერისადმი ფანატიკური ერთგულების საფუძველზე იყვნენ გაერთიანებულები. გამსახურდიასაგ-ან განსხვავებით, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვი-ლის მომხრეებს უფრო მეტად რაციონალური არჩევანი აერთიანებდათ, ვიდრე ფანატიზმი. ამაში გამოხატულებას ნახულობს ის ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებები, რაც ქართულმა საზოგადოებამ, კერძოდ კი საარჩევნო კორპუს-

მა განიცადა თავისი დამოუკიდებლად არსებობის პირობებში.

4. ქართველი ლიდერების ქარიზმის ფორმირების მექანიზმები

ლიდერის "ქარიზმის" ფორმირება მიმდინარეობდა ოპოზიციაში. მას ლიდერები მოჰყავდა ხელისუფლებაში და უზრუნველყოფდა მათ სახელმწიფოსთან შეზრდას. მაგრამ საქართველოს ღარიბი რესურსების პირობებში, ისინი ვერ ახერხებდნენ დაგროვებულ პრობლემების გამკლავებას და ხშირად კარგავდნენ თავიანთ "ქარიზმას". ის გადადიოდა ოპოზიციის ლიდერზე, რომელიც იკავებდა დამხობილი ლიდერის ადგილს სახელმწიფოში.

2012 წლამდე სამჯერ განხორციელდა ლიდერების ცვლა საქართველოში. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა დისიდენტური მოძრაობიდან. ის არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული მიღწევებით სახელმწიფოს მართვის სფეროში. უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მას ადმინისტრაციული გამოცდილება საერთოდ არ გააჩნდა. ხელისუფლებაში მოსვლამდე იგი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის და არა ფართო საზოგადოებისათვის, ცნობილი იყო, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, რომელმაც თავისი პოლიტიკური საქმიანობისათვის რამდენიმე წელი გაატარა ციხეში და რომელმაც შემდეგ საჯაროდ მოინანია თავის წარსული. ეს უკანასკნელი, რომელიც შეიძლებოდა ბევრი სხვა ლიდერის წარმატებისათვის საბედისწერო გამხდარიყო, გამსახურდიას შემთხვევაში მთლიანად შთაინთქა მისი პოლიტიკური აქტიურობის ფონზე, რომელიც უკვე აშკარად, მთელი საზოგა-

დოების თვალწინ წარიმართა გორბაჩოვის პერიოდის გარ-დაქმნისა და საჯაროობის დროს.

შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიას საზოგადოების ყურადღების ცენტრში აქცევდა არა იმდენად მისი პოლი-ტიკური წარსული (დისიდენტები სხვებიც იყვნენ, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს გამსახურდიას დონის აღიარებას საზო-გადოებაში), არამედ მისი წარმომავლობა. ის იყო ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში. კონსტანტინე გამსახურდია ხალხში აღიქმებოდა, როგორც საქართველოს დიდი პატრი-ოტი, რომლის გარდაცვალებაც განსაკუთრებულ მოვლე-ნად იქცა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. სწორედ ეს ელემენტი - წარმომავლობა ემატებოდა მის დისიდენ-ტურ წარსულს და აძლიერებდა ამ უკანასკნელის მნიშვნე-ლობას გამსახურდიას "ქარიზმის" ფორმირებაში.

თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მის პოლიტიკურ აღზევებაში, ჩვენი აზრით, მაინც მისმა პიროვნულმა თვი-სებებმა შეასრულა. გარდაქმნის პერიოდში საჯაროდ, სა-ზოგადოების თვალწინ, მან გამოავლინა უშრეტი ენერგია, ორატორული ნიჭი, ხალხის ეროვნულ გრძნობებზე ზემოქ-მედებისა და ემოციების გამოწვევის უნარი. საზოგადოებას ის არ სთავაზობდა პროგრამას, არამედ უბრალოდ მოით-ხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მისი ქარიზმა (დამოუკიდებელი საქართველოს ოთხ ეროვნულ ლიდერს შორის სწორედ გამსახურდიას ესადაგება ალბათ ყველაზე მეტად ქარიზმატული ლიდერის ვებერისეული განსაზ-ღვრება. შდრ., 1,55) ჩამოყალიბდა გორბაჩოვის გარდაქმნი-სა და საჯაროობის პერიოდში, სახელმწიფო ინსტიტუტე-ბისა და კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ მიმართუ-

ლი ოპოზიციური აქტიურობის დროს, როცა ქართული საზოგადოების არაობიექტურად გაზრდილი ეროვნული თვითშეფასება წარმოშობდა დაუსაბუთებელ მოლოდინებს მასში.

გამსახურდიას „ქარიზმა" მისი პიროვნებისადმი მასების ემოციური დამოკიდებულების პროდუქტს წარმოადგენდა. მისი ელექტორატი იდეოლოგიზებული ამომრჩევლებისაგან შედგებოდა, რომელიც აღმერთებდა მას. გამსახურდიას ფენომენი წარმოშვა საბჭოთა საქართველოს არსებობის ბოლოს შექმნილმა კონკრეტულმა ეკონომიკურმა, სოციალურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ, რომელსაც "მოერგო" გამსახურდიას პერსონალური მახასიათებლები. ის სიტუაცია, რომელმაც წარმოშვა გამსახუდიას, როგორც ქარიზმატული ლიდერის ფენომენი, მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ: 1. საზოგადოების წევრები არ განიცდიან განსაკუთრებულ მატერიალურ გაჭირვებას და მათ წინაშე არ დგას თვითგადარჩენის პრობლემა; 2. საზოგადოება სოციალურად ძირითადად ერთგვაროვანია; 3. კერძო სექტორი და ბაზარი არ არის განვითარებული, დომინირებს სოციალისტური საკუთრება; პიროვნების კეთილდღეობაზე ზრუნავს სახელმწიფო და ის არ არის დამოკიდებული ინდივიდუალურ აქტიურობასა და პირად ეკონომიკურ პასუხისმგებლობაზე; 4. ეროვნული იდენტობის მძაფრი განცდა და ძლიერად განვითარებული ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომლის წყაროსაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის გათავისება წარმოადგენდა; 5. იდეოლოგიზებული და მითოლოგიზირებული პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც თითქმის მთლიანად გამორიცხავს ეკონომიკური აზროვნების ელემენტებს.

საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე საქმიანობისას, როცა საჭირო გახდა კონკრეტული მწვავე პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობა, გამსახურდიას "ქარიზმა" დასუსტდა. დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური დონის მკვეთრი დაცემა ნოყიერ ნიადაგს წარმოშობდა ეროვნული ლიდერისადმი უფრო პრაგმატული დამოკიდებულების განვითარებისათვის. ეკონომიკის ნგრევა და სახელმწიფო ინსტიტუტების დაშლის დაწყება, ცხოვრების მატერიალური დონის მკვეთრად დაცემა წარმოშობდა მწვავე პრობლემებს, რასაც საქართველოს თითოეული მცხოვრები აწყდებოდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ასეთ პირობებში ყალიბდება ედ. შევარდნაძის ქარიზმა, რომლის წყაროსაც წარმოადგენდა მისი პირადი წარმატებები პოლიტიკისა და სახელმწიფო საქმიანობის სფეროში. ის იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის სახელთანაც დაკავშირებული იყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა გერმანიიდან, ბერლინის კედლის დანგრევა ანუ ყველა მსოფლიო ისტორიული მოვლენა, რომელიც წყალგამყოფად იქცა ძველსა და ახალ მსოფლიოს შორის. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე საქმიანობამ ედ. შევარდნაძეს დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ამერიკისა და ევროპის ელიტებში. მას ჰქონდა საერთაშორისო მასშტაბის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის უზარმაზარი გამოცდილება, რაც ამ პიროვნებას გამოარჩევდა საქართველოს პოლიტიკურ კლასში. მისი დიდი პიროვნული მიღწევები მოთხოვნადი აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისა და სახელმწიფოს ნგრევის პირობებში. ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში, შევარდნა-

ძისგან იქმნებოდა სამშობლოს მხსნელის ხატი და გაზრდილი მოლოდინი მისი პიროვნების მიმართ.

შევარდნაძისაგან განსხვავებით, სააკაშვილი არ გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული პირადი მიღწევებით პოლიტიკისა და სახელმწიფოს მართვის სფეროში. მაგრამ მას ეჭირა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში, რაც საშუალებას აძლევდა მუდმივად ყოფილიყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრში, რომელთა გავლენიან ნაწილსაც აკონტროლებდა მისი მოკავშირე ჟვანია. ამ შესაძლებლობას ის იყენებდა შევარდნაძის და მისი მთავრობის დისკრედიტაციისათვის, ენერგიულად და დაუნდობლად აკრიტიკებდა რა კორუფციასა და არსებული ხელისუფლების სხვა ნაკლოვანებებს. შევარდნაძისაგან განცდილი ფრუსტრაციის პირობებში გაღატაკებული მოსახლეობა მის გამოსვლებს თანაგრძნობით ხვდებოდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, 2003 წლის ნოემბრის არჩევნებამდე სააკაშვილი და მისი პარტია მაღალი რეიტინგით არ სარგებლობდნენ. სწორედ შევარდნაძის იძულებითმა გადაყენებამ მისცა ბიძგი მისი ქარიზმის ფორმირებასა და გაძლიერებას.

ყველა სხვა ქართველი ლიდერისაგან განსხვავებით, ივანიშვილის ქარიზმის წყაროს წარმოადგენდა მისი პირადი მიღწევები არა პოლიტიკაში, არამედ ბიზნესში და აგრეთვე საქველმოქმედო საქმიანობა მის მშობლიურ საჩხერის რაიონში. ამ ლიდერის "ქარიზმის" ფორმირება დაიწყო ფართო აუდიტორიასთან უშუალო კონტაქტების გარეშე. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, 2012 წლის საარჩევნო კამპანიამდე ის არ ჰყავდა ნანახი. სამაგიეროდ მას ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ქართველი მილიარდერის შესახებ, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საჩხერის რაიონის მო-

სახლეობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა წარმოდგენა ხალხიდან გამოსული, პატრიოტი ქართველი მილიარდერის შესახებ, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, შეეძლო საკუთარი სიმდიდრე მის სასარგებლოდ გამოეყენებინა და მთელ სახელმწიფოში გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა საკუთარ რაიონში. ამან ივანიშვილს საშუალება მისცა თავის ირგვლივ დაერაზმა მრავალრიცხოვანი მომხრეები, მოეხდინა თითქმის ყველა ოპოზიციური ძალის მობილიზაცია და დაემარცხებინა სააკაშვილი.

5. ქარიზმატული ლიდერი და დემოკრატიზაციის დასაწყისი საქართველოში

ყველა სხვა ქართველი ქარიზმატული ლიდერისაგან განსხვავებით, ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი და არც პოლიტიკური ამბიციები გააჩნია. მისი პირადი მიღწევები არ არის დამოკიდებული ქართულ სახელმწიფოში დაკავებულ თანამდებობაზე. ამიტომ მან საკუთარი ქარიზმა გამოიყენა არა თავისი ოფიციალური თანამდებობის განმტკიცებისათვის საქართველოს მთავრობაში, როგორც ეს გააკეთეს გამსახურდიამ, სააკაშვილმა და შევარდნაძემ, არამედ დემოკრატიაზე გადასვლისა და სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოახდინა რეფორმირებული პოლიციისა და არმიის გამოყენება საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად საზოგადოების მასობრივი საპროტესტო აქციების ჩახშობის საშულებით. ივანიშვილის პიროვნება იქცა სხვადასხვა ოპოზიციური და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე პოლიტიკური ძალების დროებითი გაერთიანების ცენტრად, რომლე-

ბიც იძულებულნი გახდნენ დარაზმულიყვნენ საერთო მიზნის - სააკაშვილის მმართველობის შეცვლისკენ მიმართულ ბრძოლაში. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ამ კოალიციას ახასიათებდა შინაგანი წინააღმდეგობა, მან შეძლო ძირითად მაინც შეენარჩუნებინა ერთიანობა მისი პირველი ვადის მართველობის განმავლობაში (2012-2014).

ქართული ოცნების პოლიტიკურმა ბლოკმა გაამარტივა ქართული პოლიტიკის ლანდშაფტი. მან გააერთიანა ოპოზიციის თითქმის ყველა აქტიური და მნიშვნელოვანი პიროვნება, რომლებიც საზოგადოებისათვის ცნობილნი იყვნენ ძირითადად თავიანთი ინდივიდუალური პოლიტიკური აქტიურობით, განასახიერებდნენ პოლიტიკურ პარტიებს, დიდი ხნის განმავლობაში არ ჩამოდიოდნენ პოლიტიკური სცენიდან და სისტემატურად იმყოფებოდნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ივანიშვილის ბლოკში გაერთიანებამ გამოიწვია მათი თანდათანობითი გაქრობა ქართული ოცნების კოალიციის ჩრდილში. ამის შედეგად, პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში აღმოჩნდა ქართული ოცნების პოლიტიკური ბლოკი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. გაჩნდა ორპარტიული სისტემის ჩანასახი და დაიწყო პოლიტიკურ პროცესის დეპერსონალიზაცია. 2016 წლის არჩევნებმა ეს პროცესი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. აჩვენა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის გადანაცვლების პროცესი კონკრეტული პიროვნებებიდან პოლიტიკურ პარტიებზე. ყოფილი მმართველი პარტია არა თუ არ გაქრა, არამედ ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ მეორედ აღმოჩნდა პარლამენტში, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა. 2016 წლის არჩევნებმა პოლიტიკურ სცენაზე არა დამოუკიდებლად, არამედ უკვე პარტიების საშუალებით გამოიყვანა ახ-

ალი, ფართო საზოგადოებისათვის მანამადე უცნობი პირები. ძველი პოლიტიკური ლიდერებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საზოგადოება აღიქვამდა პერსონალურად, მათი ინდივიდუალური აქტიურობის საფუძველზე, რაც აშუალებდა ელექტორატის მიერ პარტიების აღქმას, პოლიტიკური სცენის ახალი მოთამაშეები აღიქმებიან კოლექტიურად, როგორც განსაზღვრული პოლიტიკური გუნდის წევრები, იმ პარტიების კონტექსტში, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ამას ხელი შეუწყო საქართველოს თითქმის ყველა ცნობილი პოლიტიკოსის გაერთიანებამ ქართული ოცნების კოალიციაში, რამაც ისინი გადააქცია ერთი გუნდის წევრებად და დაჩრდილა მათი ინდივიდუალობა. ამის შედეგად დასუსტდა ელექტორატის მიერ ამ აქტორების ინდივიდუალური აღქმადობა, რომელიც "გაიხსნა" ქართული ოცნების აღქმადობაში. ქართულმა ოცნებამ, რომელმაც დაიკავა მთელი ოპოზიციის ადგილი, საზოგადოების ყურადღების ცენტრიდან ასევე გამოდევნა ოპოზიციონერი ლიდერების მეორე ჯგუფი, რომელიც არ შევიდა მის გაერთიანებაში.

2016 წლის არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ქართულ პოლიტიკაში გადის ინდივიდუალური მოთამაშეების ხანა და დგება კოლექტიური მოთამაშეების დრო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ინდივიდუალური წევრების აქტიურობის მიუხედავად, ისინი ელექტორატის მიერ აღიქმებიან მთლიანობაში, როგორც ერთი გუნდის წევრები. შესაძლებელია, რომ პარტიების გადანაცვლებას პოლიტიკური პროცესის ცენტრში ხელი შეუწყო საკაშვილისა და ივანიშვილის ქარიზმების გადასვლამ მათ პარტიებზე.

6. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნები და ცვლილებები ელექტორალურ აქტიურობაში

2016 წლის არჩევნებში ლიდერის ფაქტორის მნიშვნელობის დასუსტება და აბსენტიზმის ყველაზე მაღალი დონე, რომელიც აქამდე გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დაფიქსირებულა, მიუთითებენ ელექტორატის ქცევის რაციონალური მოტივების გაძლიერებაზე. 2016 წლის არჩევნებში დაფიქსირებული აბსენტიზმის 51% გვიჩვენებს, რომ ამომრჩეველთა ნახევარი უკმაყოფილოა საქართველოს პოლიტიკური კლასით. ამასვე გვიჩვენებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული ხმების მკვეთრი დაცემა 2012 წლის არჩევნებთან შედარებით და სრულიად ახალი მოთამაშის გამოჩენა ქართულ პოლიტიკურ სცენაზე პატრიოტთა ალიანსის სახით, რომელმაც შექმნიდან სულ მოკლე ხანში შეძლო ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა და პარლამენტში მოხვედრა.

ყურადღებას იმსახურებს ამომრჩეველთა აქტიურობის დასუსტების პროცესი დამოუკიდებელი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, რაც შეიძლება აიხსნას უპირველეს ყოვლისა ამომრჩეველთა მომთხოვნელობის ზრდით საარჩევნო სუბიექტების მიმართ და მუდმივი იმედგაცრუებით, რასაც ისინი ყოველი ახალი არჩევნების შემდეგ განიცდიან. 1990 წლის არჩევნებში, რომელიც იყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში და რომელიც, გარდა ამისა გაიმართა მანამადე არნახული ეროვნული ენთუზიაზმის პირობებში, ელექტორატის აქტიურობამ შეადგინა 67%.(2.) ეს კომუნისტების მმართველობის დროს ჩატარებული არჩევნები იყო პირველი არჩევნები, რომელიც გაყალბების გარეშე ჩატარდა და გამსახურდიას ბლოკი მოიყვანა ხელისუფლებაში. ამის შემდეგ იწყება არჩევნების გაყალბების კასკადი უკვე დამოუკიდებელ საქართველოში.

სწორედ ეს პირველი დემოკრატიული არჩევნები უყრის საფუძველს რეჟიმის ლიბერალიზაციიდან დემოკრატიზაციაზე გადასვლის პროცესს საქართველოში, რომელიც მალევე შეწყდა გამსახურდიას მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის შემდეგ, როცა მან მისი მთავარი საპარლამენტო ოპოზიციური ძალა "კომუნისტური პარტია", რომელიც ამომრჩეველთა 25% -ის მიერ იყო არჩეული, გააძევა პარლამენტიდან და მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტორატის აქტიურობა კიდევ უფრო გაიზარდა და 74,17% შეადგინა*. ამ არჩევნებით, ახალი ხელისუფლება, რომელიც გამსახურდიას ძალით დამხობით მოვიდა ხელისუფლებაში, ცდილობდა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაცია არჩევნების გზით. ამიტომ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ელექტორატის აქტიურობის მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ელექტორატის აქტიურობა ხელოვნურად იყოს გაზრდილი.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტორატის აქტიურობამ 68,18 % შეადგინა*. ეს არჩევნებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლებისათვის ლეგიტიმურობის შემძენი არჩევნები. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 67,87%.* 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კი 60,06%, 2004 წლის 28 მარტის არჩევნებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა 63,93%.*

ჩვენ ვხედავთ, რომ 1990 წლიდან მოყოლებული ელექტორატის აქტიურობა არასოდეს ჩამოსულა 60 პროცენტზე ქვევით. პირველად ამ ნიშნულის ქვევით ელექტორა-

ტის აქტიურობა დაეცა 2008 წლის არჩევნებში, რომელიც საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისთანავე ჩატარდა და რომელსაც ოპოზიციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა. მასში ამომრჩეველთა აქტიურობამ 53,40%* შეადგინა. ამის შემდეგ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც სააკაშვილის რეჟიმით მასობრივი უკმაყოფილების ფონზე ჩატარდა, ამომრჩეველთა აქტიურობა ისევ აჭარბებს სამოც პროცენტს - 63,93%,(3,) რაც საპროტესტო ელექტორატის აქტიურობის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ. 2016 წლის არჩევნები კი გვიჩვენებს ელექტორატის აქტიურობის მკვეთრ ვარდნას: 61,31%-დან 51%-მდე. ელექტორატის ასეთი დაბალი მაჩვენებელი არასოდეს დაფიქსირებულა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ისტორიაში. ამის მიზეზად შეიძლება ამომრჩევლის ფრუსტრაცია მივიჩნიოთ.

ქართული ოცნება 2012 არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა არა ზოგადი ლოზუნგებით, არამედ მკაფიო პროგრამით, რომელსაც საკმაოდ კარგი რეკლამა უკეთდებოდა არჩევნებამდე. მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოსახლეობის იმ მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას, რომელსაც ის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში აწყდებოდა - მაგალითად, ელექტროენერგიის გაიაფება. მიუხედავდა იმისა, რომ მან ბევრი დაპირების შესრულება შეძლო, რომელთაგან ყველაზე მთავარია პოლიტიკური სისტემის გახსნა და დემოკრატიული პროცესების გათავისუფლება, აგრეთვე საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევა, ბევრი მათგანი ვერ ან მთლიანად ვერ შეასრულა, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი იყო ნაციონალური მოძრაობის დასჯა და სამართლიანობის აღდგენა. ამას დაემატა ლარის გაუფასურებაც, რომლის მნიშვნელობასაც ოცნების მიერ

გათავისუფლებული მედია, განსაკუთრებით კი ოპოზიციური (რუსთავი -2), კიდევ უფრო აბუქებდა. ოცნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა აგრეთვე ობიექტური პირობები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაციონალებისაგან განსხვავებით, ქართული ოცნება ძალიან სუსტად ახორციელებდა საკუთარი საქმიანობის გაპიარებას. სავარაუდოდ მის მიერ ფრუსტრირებული ელექტორატის ნაწილი მიემხრო პატრიოტთა ალიანსს, რომელიც რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვდა ნაცინალური მოძრაობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოცნების წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი ნაციონელური მოძრაობის დაბრუნების შიშმაც.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გააძლიერა საპარლამენტო ოპოზიცია. თუ 2012 წლის არჩევნების შედეგად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ორი პარტია იყო წარმოდგენილი, დღეს მათი რაოდენობა სამამდე გაიზარდა. საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის მანძილზე უფრო მეტი პარტიაც ყოფილა პარლამენტში წარმოდგენილი, როგორც ოპოზიცია, მაგრამ დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია თვისებრივად განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან. ის უფრო მეტად არის ინსტიტუციონალიზებული (განსაკუთრებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), აქვს საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ობიექტივი, ტაბულა, რუსთავი-2), პოლიტიკური ფინანსები და მყარი დასაყრდენი საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელიც მართალია ძალიან დიდი არ არის, მაგრამ საკმარისია პარლამენტში ადგილების მუდმივად მისაღებად. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის არჩევნებმა გამოკვეთა მრავალპარტიულის თუ არა, ორპარტიული სისტემის დამკვიდრების პროცესის

გაძლიერება მაინც, რასაც საფუძველი 2012 წლის არჩევნებმა ჩაუყარა. მაგრამ ამის მიუხედავად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ძნელია იმაზე მსჯელობა, რამდენად შეუქცევადი აღმოჩნდება ზემოთაღნიშნული პროცესები.

დასკვნა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გააძლიერა და გააღრმავა დემოკრატიზაცია, განამტკიცა მისი ინსტიტუციური მექანიზმები, რასაც საფუძველი ჩაუყარა 2012 წლის არჩევნებმა. მაგრამ ეს პროცესი არ ატარებს შეუქცევად ხასიათს, რის გამოც, გარკვეულ პირობებში, საქართველოს პოლიტიკური სისტემა შეიძლება კვლავ აღმოჩნდეს ფუნქციონირების ავტორიტარულ რეჟიმში. დემოკრატიზაციის გაძლიერების თვალსაზრისით, 2016 წლის არჩევნების მთავარ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ქარიზმატული ლიდერის ფაქტორის დასუსტება, პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობის გაძლიერება და საპარლამენტო ოპოზიციის გადასვლა თვისებრივი განვითარების ახალ დონეზე.

ლიტერატურა

1. ვ.დოლიძე, ლ.მეტრეველი. დემოკრატია და ელექ-ტორატი. //პოლიტიკა, 3.04. 1991

2. საქართველოს არჩევნების ისტორია. 1990-2010. infocenter.gov/elections2016/history.pdf ნანახია 10.12. 2016

3. საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. 2012 წლის 1 ოქტომბრის ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვი-რებლო მისიის საბოლოო ოქმი/www.OSCE. org/Ka/odibr/elections/985852?download=true ნანახია 10.12.2016

4. Макс Вебер.Хариэматическое Господство. Социс,№5,1988

5. Психология и Психоанализ Власти. Хрестоматия т-2,Самара 1999

6. Ж. Блондель.Политическое Лидерство. М.,1992 Психология и Психоанализ Власти. Хрестоматия т-1,Самара 1999

7. С. Московичи. Власть-неизбежный источник отношений между людьми. Психология и Психоанализ Власти. Хрестоматия т-1,Самара 1999

8. С. Московичи.Психология харизматического вождя. Психология и Психоанализ Власти. Хрестоматия т-2,Самара 1999

*გაანგარიშება გაკეთებულია ჩვენს მიერ "საქართვე-ლოს არჩევნების ისტორია. 1990-2010 "- ში მოცემულ მონა-ცემებზე დაყრდნობით

Valerian Dolidze

Leader Factor and 2016 Georgian Parliament Election (Resume)

The parliamentary elections of 2016 deepened democratization in Georgia and strengthened its institutional mechanisms. They revealed new features of the political process: weakening the importance of the charismatic leader and strengthening the role of political parties and the rationality of the behavior of the electorate. They showed that the routine of politics and elections in Georgia begins.